

(2009)

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1857 (2009) საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები

1. საპარლამენტო ასამბლეა ევროდნობა მის რეზოლუციას 1648 (2009) საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ.

2. ის დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის ხელშეწყობასა და დაცვაში. ის დარწმუნებულია, რომ ევროპის საბჭოს უნდა მიენიჭოს როლი ამ რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის რაიმე ზიანის მიყენების გარეშე.

3. შესაბამისად, ასამბლეის რეკომენდაციით, მინისტრთა კომიტეტმა უნდა: განაგრძოს თანამშრომლობა გაეროსთან, ევროკავშირთან, ეუთოსთან და სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან;

გაუწიოს დახმარება ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის წევრებს ადამიანის უფლებათა სამართლის სფეროში წვრთნის საკითხში;

დაუყოვნებლივ შეაფასოს, გაეროსთან ერთად, თუ რა გზებით შეუძლია მას საქართველოში გაეროს მისიის საქმიანობის ხელშეწყობა, მათ შორის, საქართველოში გაეროს ამჟამინდელი სამეთვალყურეო მისიის (I) ევროპის საბჭოს შესაძლო დასწრებით ჩანაცვლების საკითხი;

უზრუნველყოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების გადაუდებელი დაცვისათვის შემუშავებული ექვსი პრინციპის განხორციელების მხარდაჭერა და დაფინანსება.

4. ასამბლეის რეკომენდაციით, ასევე, მინისტრთა კომიტეტმა უნდა ჩააბას ევროპის საბჭოს შესაბამისი უწყებები, რათა მათ: უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა წვრთნა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ცნობიერების ასამაღლებლად, ისევე როგორც იძულებით გადაადგილებულთა განსაკუთრებულ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ საჭიროებათა საკითხებში, თანახმად მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციის (2006) 6 რეკომენდაციისა და გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებისა იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ და გაეროს სათანადო უფლებამოსილების მქონე თუ სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

შეისწავლონ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე საქართველოს სამთავრობო ოფიციალურ პირთა წვრთნის შესაძლებლობა, საერთაშორისო შემწეობისა და დახმარების ხარჯვისა და აღრიცხვის გამჭვირვალობისთვის.

უზრუნველყონ არასამთავრობო ორგანიზაციათა წვრთნა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მიერ განკარგული შემწეობისა და დახმარების ხარჯვის მეთვალყურეობის საქმეში.

4.4 ორგანიზება გაუწიონ მრავალმხრივ შეხვედრას სამთავრობო ოფიციალურ პირთათვის, რომლებიც მუშაობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, შეიტყონ, თუ როგორ ხდება მსგავსი საკითხების გადაწყვეტა სხვა სახელმწიფოებში.

ორგანიზება გაუწიონ მრავალმხრივ შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელთა სპეციალობას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, დაეუფლონ ურთიერთგანსხვავებულ გამოცდილებას.

**2009 წლის 28 იანვარი.**

<http://portal.coe.ge/downloads/Resolutions/Res1664Geo.pdf> ვერ გადადის Sylfaen